ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 537

19 ნოემბერი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ. № 01.10.13.015.112), შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ.№01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10 (ს/კ. №01.13.02.005.006), მარიჯანის ქ.№2 (ს/კ.№01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს ,,დეველოპმენტ გრუპის" (ს/ნ. 406155618) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №47 (ს/კ.№01.12.20.030.027) დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), შარტავას ქ. №1 (ს/კ. №01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.№01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ.№01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10 (ს/კ.№01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. №2 (ს/კ.№01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს ,,დეველოპმენტ გრუპის" (ს/ნ. 406155618) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №47 (ს/კ. №01.12.20.030.027) დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17ნოემბრის№21.1582.1778 განკარგულების საფუძველზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს ,,დეველოპმენტ გრუპის“ (ს/ნ. 406155618) მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 15 ივლისის განკარგულება№21.984.1107) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2021 წლის 23 ივლისის განკარგულება№314) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №47 (ს/კ.№01.12.20.030.027)შემდეგიდამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე:

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 20 ერთეულით, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ობიექტზე მოხდება საცხოვრებელი ფუნქციის გადამეტება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ახვლედიანი**